სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბ „არმია“ - რუსთავის „ხარები“		
გუნდი	რუსთავის „ხარები“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	28/02/2024	მატჩის ადგილი	თბილისი, ჭალები
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	მამუკა მინდორაშვილი		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, გიორგი ირემაშვილი; მატჩის კიდის მსაჯი, გურანდა ხიჯაკაძე;	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: 8.13 არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;		☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	01/03/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ლევან ჩიკვაიძე, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ კი (დისტანციური) ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი; მატჩის კიდის მსაჯის, გურანდა ხიჯაკაძეს საითინგი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი;
2. მატჩის კიდის მსაჯის, გურანდა ხიჯაკაძეს საითინგი;
3. მატჩის კიდის მსაჯის, ინგა კაზაროვას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის მეთვალყურის, ფარსმან გაბაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

რუსთავის „ხარები“-ს ჭაბუთა „ბ“ ლიგის მწვრთნელი მამუკა მინდორაშვილი:

- ✓ დაეთანხმა მსაჯების საითინგებში აღნიშნულ ფაქტს იმის შესახებ, რომ იგი თამაშის პირველ ნახევარში საჯაროდ აპელირებდა მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებზე რის გამოც მატჩის მეთვალყურესგან მიიღო შენიშვნა, ხოლო თამაშის მეორე ნახევარში შევიდა მოედანზე და აპროტესტებდა მსაჯის გადაწყვეტილებას რის გამოც მსაჯმა მას უჩვენა წითელი ბარათი;
- ✓ მამუკა მინდორაშვილის განცხადებით, მას შედეგ რაც მსაჯმა უჩვენა წითელი ბარათი, მოედნიდან გამოსვლისას ის იგინებოდა უმისამართოდ ძლიერი აღელვების გამო.
- ✓ სადისციპლინო კომისიის კითხვაზე „იყო თუ არა გინება მატჩის ოფიციალური პირების მიმართ“ მამუკა მინდორაშვილმა ვერც დაადასტურა და ვერც უარყო ეს ფაქტი და განმარტა, რომ არ ახსოვს ზუსტად ძლიერი აღელვების გამო;

მამუკა მინდორაშვილმა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო, ბოდიში მოიხადა სადისციპლინო კომისიის წინაშე და აღნიშნა, რომ დაუშვებელი დაგაუმართლებელია მსგავსი საქციელი მწვრთნელის მხრიდან განსაკუთრებით ჭაბუკთა ლიგაში.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა

1. მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი (ციტირება) – „პირველი ტაიმის განმავლობაში ხარების მწვრთნელი მამუკა მინდიაშვილი საჯაროდ ხმამაღალი ტონით აპელირებდა ჩვენს გადაწყვეტილებებზე, რასაც კომისრისგან გაფრთილება მოჰყვა. ამის მიუხედავად მეორე ტაიმშიც მან გაფრთხილება არ გაითვალისწინა და განაგრძობდა აპელირებას, კერძოდ მოედანზე შემოვარდნით, რასაც არაკორექტული კომუნიკაციაც ახლდა თან. კონკრეტულად: ბრმები ხართ, ბოროტი ადამიანები და მომმართავდა ბიჭოთი. ამის გამო მას მე ვუჩვენე წითელი ბარათი, მოედნის დატოვების დროსაც აგრძელებდა შეურაცჰყოფის მოყენებას, კონკრეტულად იყო დედის გინება, (ამათი დედის.....). თამაშის დასრულების შემდეგაც გონორით და აგრესიით მოვიდა ჩვენთან მსაჯებთან, თუმცა ამ სიტუაციას გავერიდეთ რადგან ისევ აგრძელებდა შეურაცჰყოფების მოყენებას.“

2. მატჩის კიდის მსაჯის, გურანდა ხიჯაკაძეს საითინგი (ციტირება) – „პირველი ტაიმის მიმდინარეობისას ხარების მწვრთნელი, მამუკა მინდიაშვილი, ხმამაღლა გვიყვიროდა მსაჯებს, მეორე ტაიმიზე კი მოედანზე შემოვიდა და არაკორექტულად მოგვმართავდა, ამის შემდეგ მთავარმა მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა და მოედნი დაატოვებინა, ამისდა მიუხედავად მწვრთნელი მაინც აგრძელებდა შეურაწყოფის მოყენებას და ბილწი სიტყვებით მომართვას (დედის გინებას) , თამაშის დამთავრების შემდეგ კი ჩვენთან მოვიდა და ზემოთხსენებული აგრესიით მოგვამათავდა, რასაც მსაჯები გამოვერიდეთ.“
3. მატჩის მეთვალყურის ფარსმან გაბაძის გამოკითვის აუდიოჩანაწერი - ფარსმან გაბაძის განცხადებით, თამაშის პირველ ნახევარში მან შენიშვნა მისცა რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელს მამუკა მინდირაშვილს, მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე აპელირების გამო. ფარსმან გაბაძის განცხადებით, თამაშის მეორე ნახევარში, მამუკა მინდორაშვილი შევიდა მოედანზე და აპროტესტებდა მსაჯის გადაწყვეტილებას რის გამოც მსაჯმა მას უჩვენა წითელი ბარათი. მამუკა მინდორაშვილის მხრიდან მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი მას(ფარსმან გაბაძეს) არ გაუგონია;
4. მატჩის კიდის მსაჯის ინგა კაზაროვას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - ინგა კაზაროვას განცხადებით, თამაშის მეორე ტაიმში, მას შემდეგ რაც „ხარები“-ს მწვრთნელი, მამუკა მინდორაშვილს მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა, მან (მამუკა მინდორაშვილმა) რამოდენიმეჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა(დედის გინება) მიაყენა მატჩის ოფიციალურ პირებს.

სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილ საითინგებზე (და მის თანდართულ დოკუმენტაციაზე), მიიჩნევს რომ „ხარები“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მწვრთნელის, მამუკა მინდორაშვილის ქმედება წარმოადგენს სადიციპლინო რეგულაციის დარღვევას, კერძოდ მოთამაშემ დაარღვია სრკ სადისციპლინო რეგულაციის 8.13 პუნქტი. (**არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;**). სადისციპლინო კომისიამ ასევე ისჯელა მამუკა მინდორაშვილის დარღვევის სიმძიმეზე, გაითვალისწინა მის მიერ მსაჯების მიმართ გამოყენებული ლექსიკა, გამოხატული აგრესია, დარღვევის ხანგრძლივობა და სიტყვიერი შეურაცხყოფა შეაფასა როგორც სერიოზული. სადისციპლინო კომისიამ ასევე იმსჯელა დამრღვევი პიროვნების შემამსუბუქებელ/დამამძიმებელ გარემოებებზე. სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა მამუკა მინდორაშვილის სუფთა სადისციპლინო ისტორია, დარღვევის გულწრფელი აღიარება, სამაგალითო ქცევა სადისციპლინო საქმის განხილვისას და გამოთქმული წუხილი მომხდარი ფაქტის გამო.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობის შემდეგ სადისციპლინო კომისიამ დაადგინა :

1. რუსთავის „ხარები“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მწვრთნელი მამუკა მინდორაშვილი :

   ა) აპელირებდა მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ თამაშის პირველ ტაიმში;

   ბ) თამაშის მეორე ტაიმში, მამუკა მინდორაშვილი შევიდა მოედანზე და გააპროტესტა მსაჯის გადაწყვეტილება, რის გამოც იგი წითელი ბარათით გააძევა მსაჯმა;

დ) წითელი ბარათის მიღების შემდეგ, მამუკა მინდორაშვილიმა სიტყვიერი შეურაცხყოფა (დედის გინება) მიაყენა მატჩის ოფიციალურ პირებს;

ზემოჩამოთვლილ დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით, სადისციპლინო კომისიამ მიიღო

გადაწყვეტილება

1. რუსთავის „ხარები“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის მწვრთნელს მამუკა მინდორაშვილს, რუსთავის „ხარები“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის თამაშის დროს აეკრძალოს **სათამაშო სივრცეში*** ყოფნა **6 (ექვსი) კვირით. 04.03.2024-დან - 26.04.2024-მდე.** (ჭაბუკთა „ბ“ ლიგის საშეჯიბრო ცხრილის მიხედვით);
2. რუსთავის „ხარები“ დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
3. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 13.9 პუნქტის მიხედვით : დაკისრებული ფულადი ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, რუსთავის „ხარები“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდს დააკლდება 3(სამი) საცხრილო ქულა;

* სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: ტერმინთა განმარტება - 2.12. **სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	04/03/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]